

## **„მთელი ჩემი ცხოვრება ტანჯვაა და ნამება“ (აკაკი წერეთლის პირადი წერილები)**

პირადი წერილები ადამიანის სულის სარკეა, ამ ბარათებიდან ხშირად ეპოქის მაჯისცემაც ისმის, ამიტომაც მეტად მნიშვნელოვანია კლასიკოსის ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოცემა. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მოსაზრებაც არსებობდა: „ზოგიერთები (ალ. პუშკინი, ალ. ბლოკი, ი. ჭავჭავაძე და სხვები) საჭიროდ მიიჩნევდნენ პირადი წერილების ბეჭდვას, საზოგადოების დიდი ნაწილი სასტიკად ილაშქრებდა პირადი წერილების გამოქვეყნების წინააღმდეგ, იმ მოტივით, რომ ზოგიერთი წერილის გამოქვეყნება შეურაცხყოფდა ავტორს ან მის მემკვიდრეებს“ (სანაძე 2006:211). დღეისათვის მეტად აქტუალურია გამოჩენილ ადამიანთა ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოქვეყნება, მით უფრო კლასიკოსისა, რადგან მათი შემოქმედება ერის კულტურის ნაწილია და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეპოქის შესასწავლად. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით მეტად ღირებულია აკაკი წერეთლის პირადი მიმოწერის გაცნობაც. მწერლის თხზულებათა თხუთმეტომეულის გამოცემიდან (1950-1963) ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. მას შემდეგ გამოვლინდა აკაკის ბევრი უცნობი პირადი წერილი, რომლებიც არაერთ საგულისხმო ინფორმაციას შეიცავს ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწისა თუ მოვლენის შესახებ, პასუხს სცემს ზოგიერთ დღემდე უპასუხო კითხვას. მეტად საგულისხმო ცნობებს შეიცავს ცოლ-შვილთან გაგზავნილი აკაკის წერილები (რუსულ ენაზე), რომლებიც აღმოჩნდა პარიზში, ევგენი გეგეჭკორის არქივში. წერილები საქართველოში ჩამოიტანა ბესარიონ ჟღენტმა და 1966 წელს გამოსცა. გარდა ამისა, ხელნაწერთა საცავებში აღმოჩნდა რიგი ახალი წერილებისა, რომელთა დიდი ნაწილი 1950-63 წლებში უკვე იყო ამ საცავებში, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო თხზულებათა კრებულში ვერ მოხვდა.

აკაკი წერეთლის ეპისტოლური მემკვიდრეობა სრულად დაიბეჭდება მწერლის თხზულებათა ახალი აკადემიური ოცტომეულის მე-17 და მე-18 ტომებში, 450 პირადი წერილი დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რაც ეპოქის რეალური სურათის აღდგენის საშუალებას იძლევა. აკაკი ადრესატებს სხვადასხვა საზოგადოებრივ თუ კერძო მოვლენასთან დაკავშირებით ეხმიანება. ეს წერილები საშუალებას მისცემს მკითხველს, თანმიმდევრულად აღადგინოს მოვლენები და პანორამულად დაინახოს აკაკი, როგორც შემოქმედი, მოღვაწე და პიროვნება. შესაძლებელი ხდება აკაკის ე. წ. „სულიერი ბიოგრაფიის“ შედგენა. ბიოგრაფიისა, რომელშიც სრულყოფილად წარმოგვიდგება აკაკი - მგოსანი, შესანიშნავი პროზაიკოსი და უებრო პოლემისტი, დრამატურგი და თეატრის რეჟისორი, შუდარებელი ორატორი, ყველა მიცვალებულის ჭირისუფალი, „სასაფლაოების ნაფიცი ორატორი“ და ეპიტაფიების დიდოსტატი, ბრწყინვალე ლექტორი, ყველა საზოგადო ღონისძიების სასურველი მონაწილე და საპატიო სტუმარი. ამ წერილებიდან შევიტყობთ, რომ

იგი, ამავე დროს, ძალიან აქტიური და ნიჭიერი „მენარმეც“ ყოფილა, თუმცა მოგება ვერასოდეს ნახა (გაბოძე 2017: 35). ირკვევა, რომ მისი ინიციატივით საქართველოში ჩამოდის გეოლოგი სიმონოვიჩი და მიდის ჯერ სვანეთში, შემდეგ თიანეთში ოქროს საძიებლად; ერთი ინგლისელი მილიონერი ახტალაში მიჰყავს, იქნებ დააინტერესოს, ამიტომ იოსებ მერკვილაძეს სთხოვს: **„ანდრია ნახე და ანგლის მარილის მინუშები დააგროვებინე, აგრეთვე ოზოკერიტი ე. ი. მიწის სანთლის ნიმუში უთუოთ იშოვოს“** (წერეთელი 2010: 313), მერე კი ცოლ-შვილს ჰპირდება: **„როგორც კი ფულს ვიშოვნი, პეტერბურგს გავწევ ფუტკრის საქმის მოსაგვარებლად“** (წერილები ... 1966: 47). ცოლ-შვილის დაუინებული მოთხოვნით აკაკი ხარკოვში მიდის, ხვდება მათ მიერ მარგანეცის საქმეების აპეკუნად დანიშნულ ტროფიმოვს და, იმავდროულად, ახალი საქმის (საღებავების ქარხნის) დაწყებაზე ფიქრობს. ეს აქტიური „მენარმე“ თუმცა მოგებაზე მეტ დანაკარგს ნახულობს, იმედს მაინც არასოდეს კარგავს და ასე ამხნევებს ერთ-ერთ წერილში ცოლ-შვილს: **„კვერეთი დავკარგეთ, სამაგიეროდ ჩვენს გონჯხევში აღმოჩნდა მინერალური წყარო, რომელიც შემოსავალს მოგვცემს“**. **ან კიდევ, „მიწის ნავთობიანი ნაკვეთი მივიღე და ახლა საჭიროა შედგეს კომპანია და დაიდგას ქაბურღილები, მაგრამ მერე რა იქნება, არ ვიცი. სხვები მდიდრდებიან, მილიონერები ხდებიან. მაგრამ მე ამის იმედი არა მაქვს: ბაზილევსკების ცოდვებმა მოშხამა ჩემი ბედნიერებაც“** (წერილები ... 1966: 69).

დიდი მოგება კი არა, დიდი ზარალის მეტი არაფერი უნახავს – რამდენიმეგზის დაგირავებული მიწები, სასამართლოებში გაუთავებელი დავა, გაყიდული თუ და დასაკარგად განწირული მამული და ქონება: **„არასოდეს სიხარული არ მღირსებია და არც მეღირსება! ალბათ, ასეთია ზეცისაგან დაწყველილთა ხვედრი. მე აქ ვარ ავადმყოფი, თქვენ – იქ. დურანდინები აქ არიან. მენანება, რომ მთელი ქონება გვეკარგება“** (წერილები ... 1966: 52). ვინ იყვნენ ეს დურანდინები და რას ედავებოდნენ აკაკის? როგორც ამ წერილებიდან ირკვევა, ისინი (ცოლ-ქმარი) ალექსის ნაცნობები იყვნენ, სავარაუდოდ, მსახიობები, დასის წევრები, რომლებსაც ალექსიმ ვალი ვერ გაუსტუმრა და აკაკის სხვიტორში ჩაუსახლდნენ: **„ეს ერთი ხანია, ერთი რუსი, ჩემი შვილის ნაცნობი, ჩამიდგა სახლში და ვეღარ მოვიშორე. „მომწონს აქაურობაო!“ მე კი აღარ მკითხავს!.. ამის ლოლიობას ვუნდები და ვეღარა გამიკეთებია რა!..“** – წერს აკაკი იაკობ გოგებაშვილს (წერეთელი 1963:119). ამ დურანდინების წყალობით აკაკის სახლში აღარ ედგომებოდა. გულსაკლავია მისი წერილები, რომლებშიც ცოლ-შვილს თავისი უნუგეშო მდგომარეობის შესახებ ატყობინებს: **„ჩემთვის ამ სიბერის წლებში უფრო იოლი ასატანი იქნებოდა საპყრობილეში ვმჯდარიყავი, საკატორლო სამუშაოებზე ვყოფილიყავი, ვიდრე ერთი დღე დავრჩენილიყავი მასთან მარტოდ. აი, რატომ არის, რომ მეც, მოხუცი და ავადმყოფი, გავრბივარ სახლიდან და, როგორც პურს, ისე ვეძებ სხვებთან თავშესაფარს. გუშინ ამოვედი საჩხერეში ავადმყოფი, ძარღვებაშლილი, რომ აქ დამესვენა, მაგრამ ზეგ ისევ უნდა გავიქცე აქედან, მაგრამ არ ვიცი, სად და ვისთან? ეჰ, ყველაფრის მოწერა შეუძლებელია. სჯობს გავჩუმდე“** (წერილები ... 1966: 84).

ამას ისიც დაემატა, რომ 1901 წელს ალექსის ვალად დაედო ვიღაც ბუდას ქალიშვილის სემინარიის ხუთი წლის გადასახადი. როგორც ჩანს, იგი თავდებში ჩას-

დგომია ქალის დედას სასწავლებლის დირექციასთან, მას კი თანხა არ გადაუხდია და ათი წლის შემდეგ **„აქაურმა ადმინისტრაციამ მიიღო მონერილობა – ყველაფერი მთლიანად გადაახდევინეთ ალექსი წერეთელს მისი ქონებიდანო. ეს მეხი თავზე დამეცა მოულოდნელად ისე, როგორც ყველა დანარჩენი სიურპრიზიც, როგორც, მაგალითად, პოლტორაცკის, სტიცკევიჩის და სხვათა ამბავი. მე, ჩვეულებისამებრ, მდუმარედ ვიტვირთე ეს მძიმე ჯვარიც, და არ თუ ვინმეს ვუსაყვედურე, არც კი მიფიქრია თქვენთვის მაინც შემეტყობინებინა“** (წერილები ... 1966: 67).

სამწუხაროდ, აკაკის ვაჟს, ალექსი წერეთელს, ქართული საზოგადოება არც მაშინ იცნობდა კარგად და არც ახლაც შესწავლილი მისი მოღვაწეობა სათანადოდ.\*

არადა, ალექსი წერეთელი საკმაოდ წარმატებული და ცნობილი ანტრეპრენიორი იყო, სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ოპერის დასებს ხარკოვში, პეტერბურგსა და მოსკოვში. 1916 წლიდან დედასთან ერთად იგი საფრანგეთში გადასახლდა საცხოვრებლად და ასეთივე წარმატებით მოღვაწეობდა პარიზში. ხელმძღვანელობდა „პარიზის რუსული ოპერის“ დასს, რომლის სპექტაკლები ანშლაგით ტარდებოდა შანზელინზე. იგი თანამშრომლობდა იმ დროისათვის ცნობილ ისეთ საოპერო მომღერლებთან, როგორებიც იყვნენ: ბონაჩინი, ფიგნერი, შალიაპინი, ლინა კავალინი და სხვ. ალექსის ხელმძღვანელობით მოეწყო ცნობილი საოპერო მომღერლის თეოდორ შალიაპინის პირველი გასტროლები ამერიკაში; 1902 წელს ალექსის საქართველოშიც ჩამოუყვანია საოპერო დასი გასტროლებზე, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყოლია. პირადი წერილებიდან ისიც ირკვევა, რომ აკაკი თავად ცდილობდა დახმარებოდა ალექსის დასს, რომ გასტროლები ბაქოსა და სხვა ქალაქებშიც გაემართა. მათ კონცერტებს დიდი წარმატება ჰქონდა, თუმცა, სხვადასხვა მიზეზით, ალექსი ხშირად ვარდებოდა ვალებში და დეპეშით მამას მიმართავდა ხოლმე დახმარებისთვის. „ასეთი დეპეშის შემდეგ შეიქნებოდა აკაკის შფოთვა და წუხილი, ასე ძლიერად სხვა არაფერი ამფოთებდა. ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ ერთი უბედურება დატრიალდებოდა. ამ დროს ერთადერთი გამოსავლი, რა თქმა უნდა, ბანკი იყო. აგირავებდა თავის სახლ-კარს და მამულს“ (ფალავა 1960: 9). საგულისხმო და გულისამაჩუყებელია ერთი წერილი, რომელშიც აკაკი ამხნევეს შვილს: **„ჩამოდი ჩემთან და იყავი ისე, სანამ ყველა ქალაქს არ გადავხედავთ. იცოდე, მე უკეთ მოვანესრიგებ შენს საქმეებს, ვიდრე გგონია. მე გამოცდილი კაცი ვარ. მეც ამენუნა მდგომარეობა, როცა 23 წლის ვიყავი; არავინ მომშველებია. ტყუილ-უბრალოდ 200 ათასი დამედო ვალად, მაგრამ მერე მარტოდმარტომ გამოვასწორე მდგომარეობა. შენ კი გყავს მამა, რომელიც ყველაფერში დაგეხმარება. გკოცნი, შენი მოყვარული ა კ ა კ ი“** (წერილები ... 1966: 54). მანამდე კი სთხოვს, ევედრება, ხშირად მოსწეროს წერილები. გულწრფელად ამაცობს მისი წარმატებებით, ხვდება, რომ იგი უფრო დიდი მასშტაბის მოღვაწეა და მშვენივრად იცის, რომ საქართველოში მისი კარიერა ვერ განვითარდება, მაგრამ, როგორც მამას, ენანება შვილი ამ მძიმე და რისკიანი შრომისთვის და ეხვეწება, რომ თავი დაანებოს იმ წყეულ ხარკოვს და ჩამოვიდეს საქართველოში, სადაც

\* ბოლო დროს ალექსი წერეთლის მოღვაწეობის შესახებ საყურადღებო კვლევას აწარმოებს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გია ხოფერიანი.

ბევრად უფრო კარგად იქნება, რადგან საქართველოში მისნაირი განათლებული ადამიანი სანთლით საძებარია. მაგალითად მოჰყავს თუმანოვი, რომელმაც რამდენიმე ენა იცოდა და უკვე ხუთასი თუმანი დაუნიშნეს. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ვერც ალექსიმ უღალატა არჩეულ გზას, ვერ შეელია ხელოვნების სამსახურს, (ახალგაზრდობაში აკაკიმაც ხომ უარი თქვა ჩინოვნიკობაზე და მუზის მსახურება არჩია); მამასავით ვერც ის გამოდგა მოხერხებული მენარმე, ხან ვისთან კარგავდა მარგანეცის საკუთარი წილით მიღებულ მოგებას და ხან ვისთან, ის კი არა, ალექსის 1915 წლის წერილებში ისიც ამოვიკითხეთ, რომ დურანდინი ისევე სძალავდა ფულს, არადა აკაკის რამდენიმე წერილიდან ირკვევა, რომ მისი ვალი გაისტუმრეს. მოკლედ, ალექსიც, ეს ქართველი დონ კიხოტიც, ხშირად ამოდ ებრძოდა ქარის წისქვილებს, ქირაობდა ძვირადღირებულ მსახიობებს, და არსებული კრიზისის მიუხედავად, კეთილსინდისიერად უხდიდა მათ ხელფასებს; ამიტომაც ცნობილი ვარსკვლავები მის მოწვევას სიამოვნებით თანხმდებოდნენ და წარმატებითაც მართავდნენ კონცერტებს, მსახიობებისთვის იტალიაში უკვეთავდა უძვირფასეს გარდერობს, რასაც ხშირად თეატრის შემოსავალი ვერ სწვდებოდა, ამიტომაც ვალეებში ვარდებოდა, და აი, მაშინ კი სასწრაფოდ აფრენდა ხოლმე დეპეშას მამასთან. **„შვილი პეტერბურგიდან მწერს, მომეშველე, თორემ თავს მოვიკლავო“**, – უთქვამს ერთხელ აკაკის ელიაშვილისთვის, რომელთანაც ბაქოში ჩასულა, რომ 2500 მანეთი ესესხა მანთაშევისგან. ეს ის მანთაშევია, ნავთობის მაგნატი, აკაკის რომ უთხრა: „ნეტავი, ბატონო აკაკი, ან შენ იყო სომეხი პოეტი, ან მე – ქართველი, მაშინ უვექსილოდ გამოგატანინებდი სესხსო“. ისე კი მაინც დაეხმარა, ოღონდ თავდებად ინჟინერი ბრაილოვსკი, არჩილ ჯორჯაძე და ივანე ელიაშვილი დაუდგნენ. აკაკის 1000 მანეთი მალევე გაუსტუმრებია, დარჩენილი ვალი კი, 1500 მანეთი, ანდერძში შეუტანია. სამწუხაროდ, აკაკის არცთუ იშვიათად უწევდა შვილისა და განებივრებული, არისტოკრატიულ ცხოვრებას მიჩვეული ცოლის დახმარება და მათი მგზავრობის დაფინანსებაც: **„მოითმინეთ კიდევ ერთი თვე და ღვთის შეწევნით ყველაფერი მოწესრიგდება. თბილისში ჩამოველი გუშინ საღამოს და დღესვე მივალ ბათუმში, ფოთში, ხონში და სხვაგან, რომ ლექციები წავიკითხო და ფულიც მოგანოდოთ. მაგრამ, ღვთის გულისათვის, აუცილებლად ჩამოვლით! ... „ახლა ჩამოვედი თბილისში და აღდგომის მეორე დღესვე უნდა მივაშურო იმერეთს, რომ თქვენი სამგზავრო ფული შევაგროვო. როცა ამ ფულს მიიღებთ, ღვთის გულისათვის, წამოვლით, მე უკვე ძალიან ცუდად ვარ“** (წერილები ... 1966:107). და აი, კიდევ ერთი „იმედიანი“ წერილიც: **„ჩემო ძვირფასებო! გიგზავნით უკანასკნელ 200 მანეთს გამოსამგზავრებლად. 20 აპრილზე ადრე ნუ წამოხვალთ. ახლა მივდივარ საჩხერეს, სადაც გარდაქმნის მიზნით, გენერალური წმენდა მიმდინარეობს“** (იქვე 1966:105).

მთელი ცხოვრება ისე გაატარა, ოჯახის სიტბოს ნატრობდა. გავიხსენოთ მისი ცნობილი სიტყვები: „ცოლი მყავს – არა მყავს, სახლი მაქვს – არა მაქვს, პენცია მაქვს – არა მაქვს“. ასე უსახლკარო, უცოლშვილო და უპენსიო, მუდმივად ჯახირში მყოფი, დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, სასტუმროდან სასტუმროში, როცა ამის საშუალება იყო, თორემ ერთ წერილში დათა ბაგრატიონს შესჩივის: **„სასტუმროში**

**კრედიტი ამომეწურა, კერძოდ აღარავის ვუნდებვარ და ზაფხული მაინც იყოს, სადმე ბალში სკამზე მოვიკრუნჩხებოდიო“** (წერეთელი 2010: 274). დადიოდა პანაშვიდიდან პანაშვიდზე, სასამართლოდან სასამართლოში, თეატრიდან თეატრში, არ აკლდებოდა არც ერთ ღონისძიებას, არც ერთ სახალხო კრებას, არც ერთ ლიტერატურულ საღამოს, ლიტერატურულ წრეს, სათავადაზნაურო თუ საბანკო კრებებსა და „კენჭობიას“. დადიოდა ხან უბრალო მწირივით, ხან ზევსივით; იყო ხან იმერეთში, ხან – მუხიანში, ხან – გორში, ხანაც – ფოთში, ბათუმში, თელავში, ყვარელში, ქუთაისში, ზუგდიდში, ჭიათურაში, ბაქოში, სტამბოლში შეხვედრაც კი მოუწყვეს ქართველებმა, პარიზში მიმავალს. სხვადასხვა დროს არაერთხელ იმყოფებოდა მოსკოვში, პეტერბურგში, ოდესაში, ხარკოვში, ორჯერ იყო სამკურნალოდ პარიზსა და ჟენევაში, არაფერს აკლდებოდა, ყველას პასუხობდა, მისი ჩანგი კი იმ დროსაც ჟღერდა და პოლემისტის მწარე კალამი მტრის გულს ისევ ისარივით ესობოდა; „აკაკის თვიურ კრებულსაც“ გამოსცემდა, ერთი დღე-ღამე ციხეში ჯდომაც მოასწრო (გაზეთ „ხუმარას“ კარიკატურის გამო), სიცოცხლის ბოლოს საკუთარ ნაწერებსაც უპატრონა, შემოქმედებითად გადააკეთა და ისე გამოაცემინა სოსიკო მერკვილაძეს. ცენზურის მიერ აკრძალული შვიდი სტროფიც არ დაავიწყდა ლექსში „ბოდვა“ და ისიც დაუტოვა შთამომავლობას, „თხზულებანის“ (1893 წ.) სხვისთვის ნაჩუქარ ცალში, საკუთარი ხელით ჩანერილი (კვაჭანტირაძე 2001). მოკლედ, ყველაფერი მოასწრო. არადა, თავმდაბლურად ამბობდა: „სახუროთმოძღვროდ არ მომიცლიაო“ ...

75 წელი იცხოვრა, ყველაფერი მოასწრო – პოეტობაც, მწერლობაც, პუბლიცისტობაც, დრამატურგობაც, იგავებსაც თხზავდა, თარგმნიდა, რეჟისორობდა, რედაქტორობდა, ორატორობდა... მოღვაწეობდა უანგაროდ და თავდაუზოგავად. მწარმეობდა, მაგრამ ფული არასოდეს ჰქონდა. დიახ, თითქოს ყველაფერს მოესწრო, ერთი რამ კი აუხდენელ ნატვრად დარჩა: „მთელი ჩემი სწრაფვა და მიზანი ის არის, რომ სიბერის წლებში მაინც განვახორციელო ჩემი იდეალი: ვიცხოვრო ჩემს ოჯახში, აღტაცებას ვეძლეოდე ჩემი იდეალური ნატაშათი, ვგრძნობდე თავს ლიოლიას ახლო, ვხარობდე მისი სიხარულით“ (წერილები..1966: 114).

1914 წლის ნოემბრის ცივ დღეებში სასტუმროს გაყინულ ოთახში თითქმის მშვიდური დღე და ღამე წერდა უკანასკნელ პოემა „ომს“. ფული ველარსად იშოვა და ეს იმედილა ჰქონდა, იქნებ პოემა რომელიმე გამომცემელს ეყიდა! ოჰ, რას წაადგებოდა ალექსის ვალებს ეს ჰონორარი?! ... მაგრამ სიყვარული ხომ ბრმაა, განსაკუთრებით მშობლის სიყვარული და ასე მოკრუნჩხული ნახა კოტე აბდუშელიშვილმა ქუთაისის ცივ სასტუმროში, მოტყუებით წაიყვანა სხვიტორში, ფულს იქ უფრო ვიშოვითო. ისიც ნაჰყვად და ამჯერად მაინც არ მოტყუვდა. მართალია, ფული ვერ იშოვა, მაგრამ ... საკუთარ სახლში, საკუთარ საწოლში, რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოსული შვილის ხელში მაინც დალია სული...

## დამონეზბანი:

**გაბოძე 2017:** გაბოძე ჯ. „აკაკი წერეთელი ქართული სამთამადნო მრეწველობის პიონერი“. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ინტელექტუალი, №34, თბილისი: 2017.

**კვაჭანტირაძე 2001:** კვაჭანტირაძე თ. „ყოფილა, დღეს ველრ არის, მაგრამ იქნება ცხადია“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 9 მარტი, 2001.

**პრინციპები ... 1964:** *Принципы издания эристолярных текстов*. Москва: 1964.

**სანაძე 2006:** სანაძე ლ. „ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოსაცემად მომზადება“. კრ. *ქართული ტექსტოლოგია*. საქ. მეცნიერებათა აკადემია შოთა რუსთველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი: 2006.

**ფალავა 1960:** ფალავა დ. *ოთხი წელი აკაკისთან*. ჟურნ. მნათობი, №9, 1960.

**წერილები 1966:** აკაკი წერეთელი წერილები ცოლ-შილთან, ბესარიონ ჟღენტის რედაქციით. თბილისი: 1966.

**წერეთელი 2010:** აკაკი წერეთელი. საარქივო გამოცემა. წიგნი მეორე. თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი, 2010.

**წერეთელი 1963:** წერეთელი ა. *თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად*, ტ. XV. თბილისი: 1963.

*Julieta Gabodze*  
(Georgia, Tbilisi)

## “All my life is a struggle and pain” (According to Akaki Tsereteli’s personal correspondence)

### Summary

**Key words:** personal letters, Akaki Tsereteli, academic publishing, biography.

There are 450 personal letters in Akaki Tsereteli’s new academic publishing of twenty volumes. To arrange these volumes chronologically enables us to restore real picture of that epoch. Akaki keeps in touch the addressees regarding to the various public or private events. These letters will help the reader to see Akaki’s face panoramically. It is already possible to create Akaki Tsereteli’s creative and so called ‘spiritual’ biography. The biography, where we can see Akaki perfectly as a poet, an amazing writer and a peerless polemist, dramaturge and theatre director, incomparable orator, mourner of every dead person and master of epitaphs, sworn orator of graveyards, excellent lecturer and desired participants of all public events. From these letters, we will be informed that he was very active and many-sided “businessman” (although he had never got any profit). Via these letters, readers will know much about Akaki – as a thoughtful husband and desperate father.